სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 74

2022 წლის 2 მაისი

ქ. თბილისი

2022 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის მოხსნის შესახებ

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს N179/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, „2022 წლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 9 თებერვლის N18 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის სქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის 2022 წლის 2 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N436773) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო განაცხადები:

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	OTG-I-22-1120	საზოგადოებრივი ურთიერთობები აფხაზეთში, როგორც კონფლიქტის ტრანსფორმაციის ინსტრუმენტი (ახ. წ. II საუკუნიდან 1918 წლამდე).	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად
2	OTG-I-22-549	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული ბავშვების დეპრესიის და შფოთვის დონის კვლევა.	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად

3	OTG-II-22-065	მე-3 საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლა „აფხაზეთი: უძველესი დროიდან დღემდე (ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტები)“	დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი